



„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია:

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“

დრექტორის

სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ფერმერობა

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- (365)2 2 11 03; T-599172005; (365) 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი: www.profkoleji-opizari.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ლინა გიორგაძე, ნ. ბალახაშვილი,

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: --- ფერმერობა / farming.
2. სარეგისტრაციო ნომერი: 09114-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისობაშია 081 სოფლის მეურნეობა - მემცენარეობა და მეცხოველეობა, აღმწერი - „შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანასა და მოვლას, ასევე ცხოველების მოშენებას, კვებასა და მოვლას. ის მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას და ასევე გადაუშუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას“.

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდას.

5. დაშვების წინაპირობები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად- სრული ზოგადი განათლება; -

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულის დასაქმების პოზიციებია:

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული დასაქმების პოზიციები

- ბაზარზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები
- მეცხოველეები
- შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები
- რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

7. სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას სოფლის მეურნეობაში, მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს.

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სოფლის მეურნეობა აერთიანებს - 7 ზოგად მოდულს 18 კრედიტის მოცულობით და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს ჯამურად 90 კრედიტი (მემცენარეობა--41 კრედიტის და მეცხოველეობის 31 კრედიტის მოცულობით)

- პროგრამაში მოდულის, ქართული ენა A2 და B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

- მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 17 სასწავლო თვე

მოცულობა: არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 120 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: სასწავლო 22 თვე

№	ზოგადი მოდულები საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
2	რაოდენობრივი წიგნიერება *	2
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4	უცხოური ენა	5
5	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
6	სურსათის უვნებლობა	2
7	საქართველოს ფლორა	2
	ჯამი	18
	ფერმერობა	
	პროფესიული მოდულები (მემცენარეობა)	
1	ნიადაგის დამუშავების საფუძვლები	2
2	თესლბრუნვა	2
3	თესვა და რგვა	3
4	მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა	2
5	მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა	2
6	ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება - დაცვა	2
7	მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა	2

8	მინდვრის, ბოსტნეული და საკვები კულტურების შერჩევა	3
9	საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება	2
10	მდელოდ საკვებწარმოება	3
11	მდელოს მართვა	2
12	მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების გამოკვება	2
13	მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების დაცვა	3
14	მოსავლის აღება-შენახვა	4
15	სოფლის მეურნეობის ცხოველთა საკვების კონსერვირება	3
16	პროდუქციის დასაწყობება -რეალიზაცია სოფლის მეურნეობაში	4
	პროფესიული მოდულები (მეცხოველეობა)	
1	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა	4
2	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა	2
3	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა აღწარმოება	2
4	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება	5
5	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამოცნობა	3
6	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შეწყვილება-გამრავლება	4
7	ცხოველური წარმოშობის პროდუქტის პირველადი მიღება და ხარისხის უზრუნველყოფა	2
8	სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	2
9	ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში	2
10	აგრობიზნესის ადმინისტრირება	5
	ჯამი	31
	სულ	90

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

სოფლის მეურნეობის კვალიფიკაციის მქონე კონცენტრაცია „ფერმერობა“:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა-შენახვა და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე;
2. უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება;
3. შეარჩიოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშები და განაყოფიერების ტექნიკა (ბუნებრივი და ხელოვნული);
4. მონაწილეობა მიიღოს განაყოფიერებისა და მოზარდის მოგების პროცესში;
5. ამოიცნოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაატაროს ჯანმრთელობის დაცვითი ღონისძიებები;
6. განახორციელოს ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში;
7. დაამუშაოს ნიადაგი, შეარჩიოს, დათესოს/დარგოს და გამოკვებოს სასოფლო-სამეურნეო კულტურები;
8. აიღოს მოსავალი;
9. მართოს ფერმერული მეურნეობა;
10. დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დანესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის -" სოფლის მეურნეობა" საფუძველზე, შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა *კონცენტრაცია „ფერმერობა“*:

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მენარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., უესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტთა რაოდენობა - საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის არანაკლებ 90 კრედიტისა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“.

პროფესიული სტანდარტები:

- მეცხოველე
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტი
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის სპეციალისტი
- ზოოტექნიკოსის ასისტენტი
- ფერმერი
- მემცენარე
- მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი
- ფიტოსანიტარული კონტროლის ტექნიკოსი
- მელიორატორი
- აგრორული ტექნიკის მექანიკოსი

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)

დანართი №1.1 სასწავლო გეგმა

მოდულები

- 1.2 .გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა
- 1.3 .რაოდენობრივი წიგნიერება *
- 1.4 . ინფორმაციული წიგნიერება 1

- 1.5 უცხოური ენა
- 1.6 გარემოსდაცვითი საფუძვლები
- 1.7 . სურსათის უვნებლობა
- 1.8. საქართველოს ფლორა
- 1.9 .ნიადაგის დამუშავების საფუძვლები
- 1.10 .თესლობრუნვა
- 1.11 თესვა და რგვა
- 1.12 .მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა
- 1.13 .მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა
- 1.14 .ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება - დაცვა
- 1.15 .მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა
- 1.16 .მინდვრის, ბოსტნეული და საკვები კულტურების შერჩევა
- 1.17 .საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება
- 1.18 .მდელოდ საკვებწარმოება
- 1.19 .მდელოს მართვა
- 1.20.მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების გამოკვება
- 1.21 .მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების დაცვა
- 1.22 .მოსავლის აღება-შენახვა
- 1.23 .სოფლის მეურნეობის ცხოველთა საკვების კონსერვირება
- 1.24 .სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა
- 1.25 .სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა
- 1.26 .სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა აღწარმოება
- 1.27 .სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება
- 1.28 .სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამოცნობა
- 1.29 .სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შეწყვილება-გამრავლება
- 1.30 .ცხოველური წარმოშობის პროდუქტის პირველადი მიღება და ხარისხის უზრუნველყოფა
- 1.31 .სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები
- 1.32 .ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში
- 1.33 .ავრობიზნესის ადმინისტრირება

1.34 პროდუქციის დასაწყობება-რეალიზაცია სოფლის მეურნეობაში

1.35 ქართული ენა A 2

1.36 ქართული ენა B 1

დანართი № 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;

დანართი № 3 – პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ

დანართი № 4 პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ

დანართი № 5--პროგრამის ბიუჯეტი

დანართი № 6--საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;

დანართი № 7--საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

დანართი № 8 -დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;

დანართი № 9--საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;

დანართი № 10-სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;

დანართი № 11--გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;

დანართი № 12 -ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია;

დანართი № 13 -პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

დანართი № 14--პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება.
არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება

დანართი № 15--საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულებები:

--ადიგენი.სოფ .არალი--- მეცხოველეობის ფერმერული მეურნეობა--ხელშეკრულება #--3

-- კლდის მეფრინველეობა-- ხელშეკრულება #--1

--ახალციხის მელორეობის ფერმა-- ხელშეკრულება # 2

--ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არალის მეცხვარეობის კერძო მეურნეობა -ხელშეკრულება #--4

--- სამცხე ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია ---ხელშეკრულება --

--.ახალციხის ვეტერინარული ლაბორატორია.---ხელშეკრულება #-56

---შ.პ.ს.“მექანიზატორი -----ხელშეკრულება # 15

---.“ნოვატორ ფერმერ-----ხელშეკრულება #16

---“სასოფლო საკონსულტაციო სამსახური “.--- ხელშეკრულება # 14